Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

ხელშეკრულება № 46/6

ქ. თბილისი 20 ოქტომბერი 2012 წელი

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, მისი მმართველის **დავით დოიაშვილის** სახით (შემდგომში – შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს **„თრინი ჯგუფი"** (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია თეატრისთვის **ხელსაწყოები (CPV – 44510000)**, მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, **გამარტივებული შესყიდვის** საშუალებით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **34.00** (ოცდათოთხმეტი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან **2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ნოემბრამდე.**

3.2. საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას, კერძოდ, საგადასახადო **ანგარიშფატურას ან/და სასაქონლო ზედნადებს ან მიღება ჩაბარების აქტს.**

4. მიღება – ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს გამყიდველი;

4.3 მყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის (საქონლის) ხარისხი.

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

Created by Simpo PDF Creator Pro (unregistered version)
http://www.simpopdf.com

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი დადების (გაფორმების) დღიდან და მოქმედებს **2012 წლის 1 ნოემბრამდე.**

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მიყენებული ზარალი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) არსებობით. ასეთ გარემოებებად მიიჩნევა საბრძოლო მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და ა.შ.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 **"შემსყიდველი"** და **"მიმწოდებელი"** კონფიდენციალურად შეინახავენ წინამდებარე ხელშკრულების შინაარს.

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით;

8.3 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად; ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ს.ს.ი.პ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური	შპს „თრინი ჯგუფი“
კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი ს/კ 201948928	მისამართი: ქ.თბილისი, ელიავას ბაზრობის ტერიტორია
ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №182	საიდენტიფიკაციო კოდი: 404884407
სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: 220101502,	ტელ:
ა/ა 123361000	„მიმწოდებელი“ დირექტორი ხელმოწერა
თეატრის მმართველი	
დავით დოიაშვილი	